# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№5 (72) 2017


## დასაქმების ფორუმი თსუ სტუდენტებისთვის



4 აპრილს სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ დასაქმების ფორუმზე 70-ზე მეტი კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებელმა გააცნო და შესთავაზა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობები.

ფორუმის ორგანიზატორის თსუ კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ცხადაძის თქმით, მსგავსი ფორუმები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რასაც უნივერსიტეტი თავის სტუდენტებს დასაქმებისა და სტაჟირების კუთხით სთავაზობს. ფორუმში მონაწილე საჯარო და კერძო სტრუქტურებს კონკრეტული შეთავაზებები, კონკრეტული ვაკანსიები აქვთ. უნივერსიტეტში გამართულ ფორუმში წელს საბანკო და საფინანსო, დაზღვევის, სამედიცინო და ფარმაცევტული სფეროების, მსხვილი სავაჭრო და სადისტრიბუციო ქსელების, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროების წარმოამდგენლები მონაწილეობდნენ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყვნენ ასევე საჯარო სტრუქტურებში დამსაქმებლებიც: სამინისტროები და მათდამი დაქვემდებარებული სამსახურები.

დასაქმების ფორუმი, რომელიც თსუ-ში უკვე მეორედ ჩატარდა, საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს პირადად შეხვდნენ და გაესაუბრონ

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ – დუბაის საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე

13-15 აპრილს არაბთა გაერთიანებული საემიროების განათლების სამინისტროს ორგანიზებით დუბაიში გამართულ საგანმანათლებლო გამოფენაზე მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 130-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო წარმოდგენილი. გამოფენაში მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ისწავლე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც მიიღო. უნივერსიტეტს დუბაიში ნიკა მელქაძე წარმოადგენდა, რომელიც თსუ-ში ამერიკული აკრედიტაციის ფასილიტატორია.

უნივერსიტეტი უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს 20-მდე უცხოენოვან პროგრამას, ახალ საერთო საცხოვრებელს, 16 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო პრაქტიკის გავლის, ქართული და უცხოური ენების შესწავლის შესაძლებლობას და ა.შ.

ნიკას განმარტებით, საქართველოში და კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის ინტერესი არაერთმა პოტენციურმა სტუდენტმა გამოხატა. ძირითადი დაინტერესება საბაკალავრო პროგრამებზე დაფიქსირდა. თუმცა, სანამ უცხოელი სტუდენტებისთვის საინტერესო 20-ამდე უცხოენოვან პროგრამაზე და თსუ-ში არსებულ სხვა შესაძლებლობებზე დაიწყებდა საუბარს, ნიკა პოტენციურ სტუდენტებს და მათ მშობლებს საქართველოს შესახებაც აწვდიდა ინფორმაციას. „როდესაც გამოფენაზე ამდენი უმაღლესი სასწავლებელია წარმოდგენილი, საკმაოდ რთულია პოტენციური სტუდენტი შენსკენ მიიზიდო. ამისათვის მას რაღაც განსხვავებულიც უნდა შესთავაზო და ძირითადი მესიჯების თქმაც ძალიან მოკლე დროში უნდა მოასწრო. მშობლისათვის შესაძლოა საინტერესო და მიმზიდველი ერთი მხარე იყოს, აბიტურიენტისთვის კი - სულ სხვა ფაქტორი. მაგალითად მშობლები უფრო მეტად ინტერესდებოდნენ უნივერსიტეტით, როდესაც შეიტყობდნენ, რომ იგი ცოტა ხანში 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. მომავალ სტუდენტებს უფრო მეტად სტუდენტური და ახალგაზრდული ცხოვრების დეტალები აინტერესებდათ. საერთოდ კი, იმის გამო, რომ საქართველო, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით სწავლისა თუ საცხოვრებლად გაცილებით ხელმისაწვდომი და უსაფრთხოა, შუა აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისთვის ძალზე დამაინტერესებელი აღმოჩნდა“, – აცხადებს ნიკა.

სამი დღის განმავლობაში ნიკას სადღაც 600-მდე დაინტერესებულ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა. განსაკუთრებული ინტერსი არსებობდა სამედიცინო ფაკულტეტის, ბიზნესის ად-



გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ და საქართველო – უნივერსიტეტის უცხოელი მეგობრების თვალით



კაროლინ მაგი



იუჯინ სლონიმეროვი

თავისი არსებობის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბევრი უცხოელი მეგობარი შეიძინა. ზოგი მათგანი სახელმწიფო უნივერსიტეტში პარტნიორობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ან პროგრამის მეშვეობით აღმოჩნდა, ზოგიც თსუ კურსდამთავრებულმა თუ უბრალოდ შემთხვევამ დააახლოვა უნივერსიტეტს. რა მოსწონთ და იზიდავთ მათ თსუ-ში და საერთოდ საქართველოში, ამის თაობაზე დღეს იუჯინ სლონიმეროვი და კაროლინ მაგი გვესაუბრებიან.

კანადელი იუჯინ სლონიმეროვი მესამე წელია თსუ-ში ასწავლის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტების ინსტრუქტორია ინგლისურში. საქართველოში სხვადასხვა პერიოდში თავის აკადემიური საქმიანობის გამო რამდენიმეჯერ იყო ჩამოსული, როდესაც მაგისტრის ხარისხისთვის კვლევას აკეთებდა. აქვს მაგისტრის ხარისხი ევროპული, რუსული და ევრაზიული სწავლებების დარგში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მისი პირველი კონტაქტი ყოფილი მოსწავლის მეშვეობით შედგა. თსუ საერ-

გაგრძელება მე-2 გვ.

## ნორჩ ასტრონომთა სკოლა და პლანეტარიუმი თსუ-ში



„თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“ მრავალ შემეცნებით სასწავლო პროგრამას აერთიანებს. ამ პროგრამებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებისათვის არის ხელმისაწვდომი. ჩვენ „ნორჩ ასტრონომთა სკოლის“ პროგრამის შესახებ მოგიყვებით და ბატონ შალვა საბაშვილთან ერთად, არა მხოლოდ დაინტერესებულ მოსწავლეებს, სტუდენტებსაც გავაცნობთ თსუ-ში არსებულ პლანეტარიუმს და მისი შექმნის ისტორიას.

შალვა საბაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასტრონომი, ასტროფიზიკოსი, პლანეტარიუმის ლექციების ხელმძღვანელი გვიყვება, რომ 1918 წელს საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დასაარსებლად ევროპიდან და რუსეთიდან სხვადასხვა მოღვაწე ჩამოვიდა. მათ შორის იყო ანდრეა ბენაშვილიც,რომელიც გეოდეზიის სპეციალისტი გახლდათ. ანდრეა ბენაშვილმა დაწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმძღვნელო ასტრონომიის შესახებ და მანვე მოაწყო ასტრონომიისა და გეოდეზიის კაბინეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უკვე 1937 წელს თსუ-ში ფიზიკა- მათემატიკის ფაკულტეტზე, ევგენი ხარაძის ინიციატივით, გაიხსნა ასტრონომიის კათედრა და დაიწყო ამ განხრით სპეციალისტების მომზადება. ბუნებრივია, კათედრას სჭირდებოდა დაკვირვებითი ბაზა, შეიძინეს გარკვეული ინსტრუმენტები და 50-იან წლებში დაარსეს პლანეტარიუმი. იმ პერიოდში თბილისში რამდენიმე პლანეტარიუმი არსებობდა, მათ შორის მთაწმინდაზე, პიონერთა სასახლეში, იყო ასევე ბათუმშიც. მათი უმეტესობა დღესდღეო-

გაგრძელება მე-3 გვ.

## „კეთილი ენის ელჩები“ თსუ-დან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები თი-ბი-სი ბანკთან ერთად განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში კეთილი ენის ელჩები გახდნენ. პროექტით „ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად” უნივერსიტეტის სტუდენტები თვენახევრის განმავლობაში 1500 სკოლაში თითო სახალისო გაკვეთილს ჩაატარებენ. „ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად“ ქართული ენის ფესტივალის პირველი ეტაპია, რომელიც თი-ბი-სი ბანკთან პროექტის *#წერექართულად* მხარდაჭერით ხორციელდება.



გვ. 3

## მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ ღონისძიება-აქცია თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოძრაობის „არა ბარბარიზმების“ ფარგლებში გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისათვის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ჯილდო პირველად გადაეცათ სპორტულ ჟურნალისტ ნიაზ მამრიკიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძეს, უცხოელ ქართველოლოგს, ლონდონის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს დონალდ რეიფილდს და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის აღმატებულებას ტოშიო კაიტანის.



გვ. 2

## თოზუ გულმამედოვა: „ღირს ყველა სირთულის დაძლევა განათლების მისაღებად“

თოზუ გულმამედოვა თსუ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტია. მან ერთი წელი თსუ-ში „ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა“ გაიარა და ახლა სასურველ სპეციალობას ეუფლება. ამბობს, რომ უნივერსიტეტში ჩაბარების პირველი ეტაპი სირთულეებთან იყო დაკავშირებული, თუმცა, ქართველი სტუდენტებისა და ლექტორების დახმარებით, ბარიერები მალე გადალახა.

თოზუსთვის ჟურნალისტიკის სპეციალობის დაუფლება მნიშვნელოვანია, მისთვის მედია არის გზა, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში სხვადასხვა მიზეზით ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს შეცვლის.

გვ. 4

## სტუდენტური ფოტოკონკურსი




გვ. 4

# მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ ღონისძიება-აქცია თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*





გამარჯვებულები უნივერსიტეტის პროფესორებისგან და საზოგადო მოღვაწეებისგან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა.

თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, „თანამედროვე ქართულ ენაში შემოდის ძალიან ბევრი უცხო სიტყვა, რომლის შესატყვისი ქართულ ენაში გვაქვს. ჩვენ ამას უნდა ვებრძოლოთ, დავიცვათ ენის სიწმინდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი. დღეს დავაჯილდოვეთ რამდენიმე პიროვნება, რომლებიც გამორჩეული, გამართული ქართულით მეტყველებენ. ჩვენ თავად უნდა ვთქვათ უარი ბარბარიზმებზე; დავიწყეთ აქცია, რომლის ფარგლებშიც გამოვიწვიეთ სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.“

„ქართული ენა ძალიან ლამაზი ენააა. ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება. წარმატება მინდა ვუსურვო წამოწყებულ აქციას. იმედი მაქვს, რომ უფრო მეტი უცხოელი ისწავლის ამ მარგალიტივით ენას,“ – აღნიშნა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ტოშიო კაიტანიმ.

კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ მადლობა გადაუხადა სასიამოვნო სიურპრიზისთვის უნივერსიტეტს: „ვერც კი წარმომედგინა, რომ ვინმე უსმენს ჩემს საუბარს და თან არჩევს, თუ როგორ ვლაპარაკობ. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ჩემს ალმა მატერში მიღებული ჯილდო.“

უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ჯილდო მოულოდნელი აღმოჩნდა სპორტულ ჟურნალისტ ნიაზ მამრიკიშვილისთვის, „ძალიან გაკვირვებული ვარ და თან ძალიან გახარებული, რადგან ამ აუდიტორიის წინაშე წარდგენაც კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სრულიად ჩავერთე ამ პროცესში და კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მოვალეობები უნდა დავუსახო საკუთარ თავს ამის შემდეგ. მინდა მოვუწოდო ჩემს კოლეგებს, სპორტულ კომენტატორებს აქტიურად ჩაერთონ დახვეწილ ქართულ ენაზე მეტყველებაში“- აღნიშნა ნიაზ მამრიკიშვილმა.

„დღეს ვაჯამებთ ჩვენი მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ ოთხთვიანი მუშაობის შედეგებს. თუნდაც ის, რომ ამდენი სკოლის მოსწავლე, ამდენი სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელი მოვიდა დღეს, ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ამ იდეის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ენის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და საფრთხეების გაცნობიერება, ფართოდ გატანა საზოგადოებაში – შედგა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა არის ის ჯოლდო, რომელიც



უნივერსიტეტმა დააწესა უნივერსიტეტის მედლის სახით. ეს ჯილდო იქნება ყოველწლიური და გადაეცემა განსაკუთრებული ლიტერატურული ქართულით მეტყველებისათვის საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტს, უცხოელ ქართველოლოგს და საქართველოში მოღვაწე დიპლომატს,“- განაცხადა თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა საზოგადოებას წარუდგინა მოძრაობის ფარგლებში შექმნილი „ბარბარიზმების ლექსიკონი“ და განაცხადა იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რითაც მოძრაობა „არაბარბარიზმებს“ გაგრძელდება მომავალში. „ბარბარიზმების ლექსიკონის“ საზოგადოებისათვის წარდგენის შემდეგ იგი აიტვირთება ინტერნეტში მოძრაობის გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის. მზადდება რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ონლაინ-ვერსია ერთიანი საძიებო სისტემით, რომელიც მალე განთავსდება ინტერნეტში მისამართზე: http://barbarizmebi.ge

ღონისძიებაზე შეჯამდა ბარბარიზმების წინააღმდეგ მიმართული მაისურების აქცია, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც ბევრმა მოქალაქემ, პროფესორ-მასწავლებელმა, სტუდენტმა, კურსდამთავრებულმა, სკოლის მოსწავლემ და მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. მაისურების აქციის გამარჯვებული მონაწილეები დაჯილდოვდნენ 10 სხვადასხვა ნომინაციაში. დასასრულს გაიმართა „ბარბარიზმების გადაყრის“ ცერემონია.

ღონისძიების ორგანიზატორია თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია.

# თსუ – დუბაის საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე

*პირველი გვერდიდან*



მინისტრირების და ტექნიკური პროგრამების მიმართულებით, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერებები, სამოქალაქო ინჟინერია და ა.შ.

პოტენციური სტუდენტების რეგისტრაცია ცენტრალიზებულად „ისწავლე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა. პროექტის მიზანია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა. დუბაიში ჩატარებული გამოფენის პერიოდში, კონკრეტული პროგრამით ან მიმართულებით დაინტერესებულ, რეგისტრირებულ აბიტურიენტთა შესახებ ინფორმაცია შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში გადაიგზავნება და უმაღლესი სასწავლებელი კი, თავის მხრივ, მას მისთვის საინტერესო მიმართულების შესახებ არსებულ შესაძლებობებზე უფრო დეტალურ ინფორმაციას შესთავაზებს.

# თსუ და საქართველო – უნივერსიტეტის უცხოელი მეგობრების თვალით

*პირველი გვერდიდან*

თაშორისო ურთიერთობების მიმართულების კურსდამთავრებულებს იგი თავისი კვლევის დროს შეხვდა. რამდენიმე მათგანმა კი იმ ვაკანსიის შესახებ ამცნო, რომელიც ამ დროისთვის უკავია და რომელმაც საქართველოში უფრო დიდი ხნით დარჩენის საშუალება მისცა.

„ქართველი სტუდენტები განსხვავებულები არიან. ნაწილი უფრო დაფიქრებულია, ნაწილი უფრო უზრუნველი და მხიარულია. თუმცა, აქამდე არ შემხვედრია სტუდენტი, რომელიც ასე ვთქვათ „ბოროტი სული“ იქნებოდა, სტუდენტი კი არა, საერთოდ ადამიანი საქართველოში. კანადაშიც არის სტუდენტების სხვადასხვა კატეგორია, და მათ შორის ბევრი ისეთიც, რომელსაც ვიღაცის ამოჩემება შეუძლია, ან ძირითადად გაბრაზებულია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში სტუდენტებისთვის სწავლება უფრო მარტივია, ვიდრე კანადაში. უბრალოდ მათ სხვადასხვანაირი საჭიროებები აქვთ. აქედან ბევრს შესაძლოა კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა ჰქონდეს, როდესაც ამის შესახებ მათთან ვსაუბრობდით, მათ განმიმარტეს, რომ ეს მათი აღზრდის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. ისინი ალიზარდნენ ისე, რომ ძირითადად მოესმინათ და დაემახსოვრებინათ, და არა ეკამათათ. როდესაც აკადამიურ წერას და კვლევას ვასწავლიდი, ერთ-ერთი საკითხი დისკუსია და ოპონირება იყო. ეს ცოტა რთული ჩანდა. ზოგადად კი მათთვის სწავლება რთული არ არის, რადგან ეს ის ხალხია, ვისაც სწავლა უნდა და აინტერესებს. შესაძლოა იქიდან გამომდინარეც, რომ მე ინგლისურად ვასწავლი და მათ იციან რომ ეს მათ თავის მომავალი პროფესიის კუთხით გამოადგებათ, შესაბამისად უფრო ცდილობენ ხოლმე“, – ამბობს იუჯინი.

ერთ-ერთი, რაც საქართველოში მოსწონს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის მარტივი შესაძლებლობაა, რასაც ხელს ეკოლოგიური პირობები, ბუნება და ფასი უწყობს. ტურისტებს, თუ სტუდენტებს საქართველოში ჩამოსვლას ქვეყნის ისტორიის, კულტურის და ბუნების გამო ურჩევს. გარდა ამისა, „უნივერისტეტში ძალიან ბევრი კარგი პროფესორია, რომელსაც შეიძლება შეხვდე“, – ფიქრობს იუჯინი.

კაროლინ მაგი, ესტონეთი – სახელმწიფო უნივერსიტეტთან მისი პირველი კონტაქტი 2008 წელს შედგა, როდესაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტად ჩამოვიდა. შემდეგ თსუ-ში დაბრუნება ტარტუს უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას უწევდა. ამ არჩევანის უზომოდ მადლიერია, რადგან მისი თქმით, ეს მხოლოდ სწავლის კი არა, თბილისში ცხოვრების, ქართულის შესწავლის, კავკასიაში მოგზაურობის და არაჩვეულებრივ ხალხთან შეხვედრის შესანიშნავი პერიოდი იყო. ახლა ტალინის უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ოფისის უფროსი სპეციალისტია და საქართველოში ჩამოსვლა ესტონეთში სწავლის შესაძლებლობებზე სასაუბროდ უწევს. მისი შეფასებით, ბოლო პერიოდში ყველაზე იღბლიანი 2016 წელი აღმოჩნდა, როდესაც ერთი თვე, ისევ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უკვე თანამშრომლის სტატუსით, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტებში იმუშავა და როგორც ელოდა, ძალზე კამყოფილი დარჩა.

ისეთი გრძნობა აქვს, რომ საქართველო და ქართველები ესტონეთში იმდენად პოპულარულები არიან, რომ მათთვის საქართველოსთან მიმართებაში დამატებით რეკომენდაციები მათთვის საჭირო არ არის. მისმა ბევრმა ნაცნობმა მოინახულა საქართველო და აღფრთოვანებული დარჩა მისი ბუნებით, ხალხით და ა.შ. თითქმის ყოველ მეორე კვირას ესმის სიახლეები იმის შესახებ, რომ საქართველოს ესტონეთის წარმოამდგენელი სახელმწიფო პირები ან პირიქით, ესტონეთს საქართველოს წარმომადგენლები ესტუმრნენ.

„გარდა ამისა, ქართველები უბრალოდ საინტერესონი არიან ჩვენთვის, თავის ცოცხალი და ღია ხასიათიდან, განსაკუთრებული კულტურის და არაჩვეულებრივი ბუნებიდან (მთები) გამომდინარე. ჩვენ გარკვეულწილად გვაერთიანებს რაღაც კუთხით მსგავსებაც. მაგალითად საერთო საბჭოთა წარსული“, – ამბობს კაროლინა.

რა თქმა უნდა ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლა შეიძლება ურჩიო. თავად კაროლინისთვის კი უკვე ნახსენების გარდა, ეს კიდევ რამდენიმეა. მისი საყვარელი საქმიანობაა ძველი თბილისის ქუჩებში სიარული, ქართული საუბრისა და სიმღერის მოსმენა და მთებში ასვლა. ბალტიისპირეთში ყველაზე მაღალი მწვერვალის სიმაღლე 318 მეტრია და ესტონეთში მდებარეობს. „ახლა წარმოიდგინეთ, თუ როგორი აღფრთოვანებული შიეძლება ვიყოთ ყოველ დროს, როდესაც თვითმფრინავი საქართველოს უახლოვდება“. – გვეუბნება კაროლინი.

# დასაქმების ფორუმი თსუ სტუდენტებისთვის

*პირველი გვერდიდან*

მათთვის სასურველი კომპანიებისა და ორგანიზაციების ადამიანური რესურსების განყოფილებების წარმომადგენლებს, წარუდგინონ საკუთარი თავი, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლის მიმდინარე თუ სამომავლო საკადრო საჭიროებებზე.

ერთ-ერთი სტუდენტი, რომელიც თსუ-ში ორგანიზებული ფორუმის საშუალებით უკვე დასაქმდა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ლელა ღამბაშიძეა.

„2016 წელს კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ფორუმზე გავეცანი გამოქვეყნებულ ვაკანსიებს და გადავწყვიტე მივსულიყავი იმ დამსაქმებლებთან, ვისთან მუშაობაც მაინტერესებდა. ერთ-ერთი „ჯი პი აი ჰოლდინგი“ იყო. ამ კომპანიიდან, გასუბრების შემდეგ, ორ კვირაში დამიკავშირდნენ და ტესტირების გასავლელად დამიბარეს, ტესტირების შემედგ კი სტაჟირებაზე მიმიწვიეს“. ლელას თქმით, კომპანიაში სტაჟორად სამი თვის განმავლობაში იყო და ამ პერიოდში სწავლაშიც უწყობდნენ ხელს. სტაჟირების დასრულების შემდეგ გადაწყვიტეს თანამშრომლობა გაეგრძელებინათ და დღეს ლელა „ჯი პი აი ჰოლდინგში“ ადამიანურის რესურსების მართვის უმცროსი სპეციალისტია.

ლელა დარწმუნებულია, მსგავსი ფორუმების ორგანიზება ძალიან კარგი



იდეა და იმის დასტური, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტებზე და მათ საინტერესო დამსაქმებლებთან მისვლის საშუალებას სთავაზობს. მთავარია საამისოდ თავად სრუდნტის მხრიდანაც შესაბიმის მოტივიაცია და მონდომება იყოს.

ფორუმამდე ლელა კარირული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ლექციებსაც დაესწრო, სადაც დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ პოტენციური დამსაქმებლთან გასაუბრების თვალსაზრისით მიეღოთ რეკომენდაციები და თავისი ოფიციალური რეზიუმეს შედგენაც ესწავლათ. გასულ წელს თსუ-ში გამართული დასაქმების ფორუმის ფარგლებში ლელას გასაუბრება რამდენიმე კომპანიაში ჰქონდა, თითქმის ყველა დაუკავშირდა. თუმცა, რადგან „ჯი პი აი“ მათგან პირველი იყო, არჩევანი საბოლოოდ მასზე შეარჩია. თანატოლებს ურჩევს აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა მსგავს ფორუმებში, რადგან სტუდენტებს შორის არსებული გარკვეული სკეპტიციზმის მიუხედავად, შესაბამისი მოტივაციის და მონდომების შემთხვევაში, დასაქმება სრულიად რეალურად მიაჩნია.

წლევანდელ დასაქმების ფორუმზე ლელა უკვე ახალი სტატუსით მონაწილეობდა. თავად ეძებდა და არჩევდა მისი კომპანიისთვის საინტერესო და საჭირო კადრებს დასასაქმებლად. სამომავლოდ, სწავლის და მუშაობის გაგრძელებას კვლავ შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით აპირებს და მაგისტრის ხარისხის მისაღებად საზღვარგარეთ სწავლაზეც ფიქრობს.

# „კეთილი ენის ელჩები“ თსუ-დან

პირველი გვერდიდან

პროექტის პარტნიორები არიან: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების 53 მოხალისე სტუდენტი კონკურსის გზით გამოვლინდა. გამარჯვებული სტუდენტები მოლოდინებისა და პროექტის მიზნებსა და მიმდინარეობაზე გვესაუბრებიან.



***მარიამ გობიანიძე,***
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მეოთხე კურსი:

– ქართული ენის ფესტივალი მიზნად ისახავს ერთმანეთსა და მოსწავლეებს ვუბიძგოთ ვიკითხოთ, ვიაზროვონოთ, ვწეროთ და ვიფიქროთ ქართულად. ეს საინტერესო იდეა ეკუთვნის საგანმანათლებლო ცენტრ „ცამდეს“. ამ პროექტში ვმონაწილეობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. იდეის გაცნობის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ გავმხდარიყავი ენის კეთილი ელჩი .

ეს არის საინტერესო და სახალისო ამბავი ქართული ენის შესახებ. ამბავი ისაა, რომ ბოროტმა ენებმა ქართული ენა ჩაამწყვდიეს გრამატიკულ ცხრაკლიტულში. ჩვენ გვყავს მოწვეული გამოგონილი გმირი „სქრინშოთა“, რომლის დახმარებითაც ენას ვათავისუფლებთ გრამატიკული ცხრაკლიტულისაგან. „სქრინშოთა“ არის დაბინძურებული ენების წმენდის სპეციალისტი. ის არის ლექსიკიდან, კერძოდ, „ლექსიკო სიტიდან“. მას აქვს ფენომენალური მეხსიერება და შეუძლია ერთი წაკითხვითა და ნახვით ყველაფერი დაიმახსოვროს. „სქრინშოთას“ საქართველოში ჩამოსვლის მიზანი ის არის, რომ ბოროტი ენებისაგან დაბინძურებულ ქართულ ენას გათავისუფლებაში დაეხმაროს.

ჩვენ, „კეთილი ენის ელჩებს“, გვევალება, რომ მოსწავლეებამდე მივიტანოთ ეს სახალისოდ და საინტერესოდ შექმნილი ამბავი.

კეთილი ენის ელჩები უკვე ვესტუმრეთ სკოლების თითქმის მესამედს და ვხვდებით ცამდე კმაყოფილ და თვალებანთებულ მოსწავლეებსა და პერსონალს. პროექტი ქართულად ფიქრსა და აზროვნებას უწყობს ხელს. მოსწავლეები პატარა ასაკიდანვე იაზრებენ ენის მნიშვნელობასა და ფუნქციას. საინტერესო გაკვეთილის შემდეგ ბავშვები ეცდებიან, გამოასწორონ ზეპირი მეტყველებისას და წერაში დაშვებული შეცდომები.

მოხარული ვარ, რომ საგანმანათლებლო ცენტრმა „ცამდემ“ სწორედ პირველი ქართული უნივერსიტეტი აირჩია პარტნიორად. უნივერსიტეტმა საშუალება მოგვცა, რომ ამ საინტერესო პროექტში ჩავერთოთ და შემოქმედებით გუნდთან ერთად ჩვენც უფრო მეტად დავიწყოთ ქართულად ფიქრი და აზროვნება.



***ნანა ტოხვაძე,***
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი:

– პროექტი „კეთილი ენის ელჩები“ თიბისი ბანკის პატრონაჟითა და საგანმანათლებლო ორგანიზაციის „ცამდე“-ს ორგანიზებით მიმდინარეობს. ამ ინიციატივის ძირითადი ჩანაფიქრია სააზროვნო და ამავდროულად სახალისო ტრენინგით ქართული ენის პოპულარიზაცია, რომელიც ითვალისწინებს III-XI კლასების მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას ენის სიწმინდის დასაცავად. მოწოდება - წერე, იკითხე, იფიქრე და იაზროვნე ქართულად „კეთილი ენის ელჩების“ მეშვეობით გადაეცემა თითოეული საჯარო თუ კერძო სკოლის აღსაზრდელს.

პროექტის შესახებ თსუ-ს ფეისბუქ გვერდიდან შევიტყვე. ვინაიდან, გახლავართ ამ უმაღლეს სასწავლებლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, მაქვს მუდმივი წვდომა და ინტერესი იმ სიახლეებისადმი, რაც უნივერსიტეტში ხორციელდება. გავგზავნე სამოტივაციო წერილი, სადაც სრულიად გულწრფელად აღვნიშნე, რომ ჩვენს საუკუნეში უცხო ენების ცოდნით ვეღარავის გავაკვირვებთ. აი, კარგი მოქართულე კი იშვიათობა გახდა-მეთქი. როგორც ფილოლოგს, განსაკუთრებული სენტიმენტები და ფაქიზი დამოკიდებულება მაქვს ქართული ენის მიმართ. სულ რამდენიმე წლის წინ, ემიგრაციაში ყოფნისას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად თავადაც ვხელმძღვანელობდი საგანმანათლებლო პროექტს – „ქართული სკოლა ათენში“. ეს გახლდათ სრულფასოვანი, ყოველდღიური სასწავლო პროცესის პრეცედენტი ევროპაში, სადაც 120-ზე მეტი ემიგრაციაში დაბადებული ქართველი ბავშვი ეზიარა დედა ენას. ასე შევუერთდი „კეთილი ენის ელჩების“ გუნდს, როგორც შერჩეული კანდიდატი და მაქვს განცდა, რომ ჩვენ საქვეყნო საქმეს ვაკეთებთ. იმედს ვიტოვებ, რომ ბევრი ქომაგი და მხარდამჭერი გამოუჩნდება გუნდს, რომელმაც მთელი საქართველოს მასშტაბით გადაწყვიტა ქართული ენის ინტერესების დაცვა.

რაც შეეხება ენის ელჩების ყოველდღიურ საქმიანობას, საკმაოდ დატვირთული და ამავდროულად მეტად საინტერესო პროცესია. პროექტის ხელმძღვანელებისგან მოგვეწოდება განრიგი, რომელიც შეთანხმებულია სკოლების ადმინისტრაციასთან თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების თუ რეგიონების მასშტაბით. შესაბამისად, შეთანხმებისამებრ ვსტუმრობთ თითოეულ სკოლას. ჩემს შემთხვევაში თბილისის სკოლებს, სადაც ერთ საგაკვეთილო საათს (მინიმუმ 45 წუთს) გვითმობს მასპინძელი სკოლა. მოსწავლეებს წარვუდგენთ სახალისო პრეზენტაციას, რომელიც შედგენილია გამოგონილი, სახალისო პერსონაჟის, „სქრინშოთას“ ისტორიებზე. მისი დახმარებით მოსწავლეები აქტიურად წმენდენ ქართულ ენას ბარბარიზმების, კალკებისა და სხვა საფრთხეებისგან, რომლებიც უდავოდ მოჭარბებულია თანამედროვე მეტყველებაში. ამ სახალისო სავარჯიშოებით მოსწავლეები ერთი მხრივ აქტიურად ერთვებიან სალიტერატურო ენის დაცვის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ იღრმავებენ უკვე მიღებულ ცოდნას.



***მარიამ ტატუაშვილი,***
ქართული ფილოლოგია, მეორე კურსი:

– პროექტის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწო უნივერსიტეტის გვერდზე განთავსებული აპლიკაციიდან შევიტყვე და დავინტერესდი მისივე მიზნიდან გამომდინარე.

მოსწავლეებთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო პროცესია. მიუხედავად იმისა რომ ამბავი ერთია, ხოლო ასაკობრივი სეგმენტი - განსხვავებული, ყველა დადებითად რეაგირებს.

# ნორჩ ასტრონომთა სკოლა და პლანეტარიუმი თსუ-ში

პირველი გვერდიდან



ბით გაუქმებულია, თსუ პლანეტარიუმი კი კვლავ ფუნქციონირებს.

თავდაპირველად, ასტრონომიის სტუდენტები პლანეტარიუმს პრაქტიკული სამუშაოებისთვის იყენებდნენ. დღესაც, ასტრონომიით დაინტერესებულ სტუდენტებს, მოსწავლეებსა და ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა იხილოს ხელოვნური ცა, სადაც ხდება დედამიწის ცის ბუნებრივი სურათის აღდგენა. პლანეტარიუმს აქვს უნარი მოახდინოს ცის ბრუნვის დემონსტრირება დედამიწის ნებისმიერ განედზე, ნებისმიერი ქალაქისთვის. ჩანს ვარსკვლავები, პლანეტები, კომეტები. პლანეტარიუმში ზოგიერთი ხელსაწყო ძველია, ზოგიც აღარ შემორჩა, თუმცა ის ძირითად ფუნქციას მაინც ასრულებს.

შალვა საბაშვილის ინფორმაციით, დაარსების დღიდან სტუდენტები, მოსწავლეები, სხვადასხვა კუთხიდან მსურველები მოდიოდნენ ექსკურსიებზე და მიმდინარეობდა ასტრონომიის გეგმაზომიერი პროპაგანდა. პლანეტარიუმში ექსკურსიებს დაერთო პოპულარულ ენაზე დაწერილი წიგნების გამოცემაც ასტრონომიის შესახებ, იწერებოდა წიგნები, წერილები, იყო საჯარო გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით, იგეგმებოდა გასვლითი ლექციები. შეიქმნა ასევე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის.

„ასტრონომია სკოლებში აღარ ისწავლება, ამიტომ უნივერსიტეტმა გადაწყვიტა ამ დარგის პოპულარიზაციისთვის შეეწყო ხელი და მოგვეზიდა მომავალი სტუდენტები საბუნებისმეტყველო დარგების შესასწავლად. ჩვენ შევქმნებით ლექციათა ციკლი,რომელშიც სამი ლექცია შედის. ამ ციკლის ორგანიზებას თსუ საბავშვო უნივერსიტეტი ახორციელებს,რომელსაც ქალბატონი მარინა ლომოური ხელმძღვანელობს.

პლანეტარიუმში დგინდება ცხრილები, სადაც გადანაწილებულია სკოლები. ზოგჯერ ლექციებს ესწრება კლასი, ან სკოლის ნაკრები. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას გადატვირთული გრაფიკი აქვს და არ შეუძლია ბავშვების უნივერსიტეტში მოყვანა, შესაძლებელია ადგილზე ლექციების ჩატარებაც. მე-3 კლასელებისთვის 1 ლექცია გვაქვს, ხოლო მე-4 კლასიდან ზემოთ მოსწავლეები სამივე ლექციას ესწრებიან. ლექციები სხვადასხვა დღესაა,რათა მოხდეს მიღებული ინფორმაციის გადახარშვა. მოდიან ძალიან დიდი ინტერესით, სვამენ უამრავ შეკითხვას. ლექციებზე ერთი საათი ვსაუბრობთ თეორიულ ნაწილზე, ხოლო ნახევარი საათი ვათვალიერებთ პლანეტარიუმს.

ვახდენთ ლექციების თეორიული ნაწილის ვიზუალიზაციას. მაგალითად, პირველ ლექციაზე ვსაუბრობთ იმის შესახებ თუ, რას შეისწავლის ასტრონომია, როდის და რატომ წარმოიშვა ეს მეცნიერება; მეორე ლექციაზე დაწვრილებით მიმოვიხილავთ მზის სისტემას, მის აგებულებას, კავშირებს დედამიწასთან, ვიხილავთ კომეტებს, მეტეორებს, არამიწიერი ცივილიზაციების არსებობის შესაძლო საკითხს; მესამე ლექციაზე კი ვსაუბრობთ ვარსკვლავებსა და გალაქტიკის თვისებებზე“, – გვიყვება ბატონი შალვა.

მისი თქმით, მოსწავლეები მოდიან თბილისის სკოლებიდან, რაიონებიდან, მაგალითად, გარდაბნის, დმანისის, დედოფლისწყაროს, შავი ზღვისპირეთიდანაც, თუმცა ეს უკანასკნელნი, მანძილიდან გამომდინარე, ერთ გაერთიანებულ ლექციას ისმენენ.

პლანეტარიუმის დარბაზში დაინტერესებული პირები ნახავენ სხვადასხვა ციური სხეულის ფოტოებს, რუკებს, გლობუსებს.

# სიახლეები

***თსუ სტუდენტების წარმატება იმიტირებული სასამართლო პროცესის სტუდენტთა ტურნირის ფინალურ ტურში***

საქართველოს შსს აკადემიაში ოჯახში ძალადობის თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის სტუდენტთა ტურნირის ფინალში გამარჯვება მოიპოვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდებმა. ინდივიდუალურად, სხვადასხვა პოზიციის საუკეთესოდ დაცვისა და გამოსვლისთვის კი დაჯილდოვდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები.

ფინალის მონაწილეებსა და გამარჯვებულებს აკადემიური ჯილდოები გადასცეს გაეროს ქალთა ფონდმა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის სახელმწიფო ფონდმა, თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კი ორი საუკეთესო მონაწილე საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სკოლაში მონაწილეობით დაასაჩუქრა.

***კრებულის „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ პრეზენტაცია***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრებულის „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებული, რომელიც თსუ ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრის წარმომადგენლებმა ირაკლი ირემაძემ და სალომე ჭანტურიძემ შეადგინეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებს შეეხება.

პუბლიკაციაში თავმოყრილია ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14-16 თებერვლის არჩევნების, 1919 და 1920 წლის დამატებითი არჩევნების შესახებ.

ალბომში წარმოდგენილია მასალები დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის, კომისიის საქმიანობის, არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების შესახებ დოკუმენტები და ცნობები, უშუალოდ საარჩევნო კამპანიის მასალები და არჩევნების შედეგების ამსახველი დოკუმენტები.

კრებული, საარქივო დოკუმენტებისა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალების გამოყენებით, მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) პუბლიკაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გამოიცა.

წიგნის პრეზენტაციას თსუ რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია, პროფესორები, სტუდენტები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

***მხატვრული კითხვის კონკურსი სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების მონაწილეობით***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში, თსუ ახალგაზრდულ ცენტრში გამართა მხატვრული კითხვის კონკურსი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების მონაწილეობით. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა სტუდენტმა.

კონკურსის დასკვნით ეტაპზე ჟიურიმ გამოავლინა 5 საუკეთესო კონკურსანტი (ლეილა აქპეროვა, რიჩარდ ბაირამოვი, მანდარ სარდაროვი, სირანუშ გასპარიანი, შენაიატ სადიკოვი), რომლებიც სპეციალური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

***გაგრძელება მე-4 გვ.***

# სიახლეები

***მესამე გვერდიდან***

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა მადლობის სიგელები და კლასიკური პოეზიის წიგნები. კონკურსის ფარგლებში სტუდენტებმა წაიკითხეს კლასიკური და თანამედროვე ქართველი პოეტების საუკეთესო ნიმუშები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები.

***თსუ დელეგაციის ვიზიტი შპაიერისა და კიოლნის უნივერსიტეტებში***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი თამარ ბერიშვილი და თსუ-სა და კიოლნის უნივერისტეტის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, თსუ-ს სტუდენტური ომბუდსმენი მარიო შიუტცე სამუშაო ვიზიტით გერმანიაში, შპაიერისა და კიოლნის უნივერსიტეტებში იმყოფებოდნენ.

კიოლნის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა საქართველოს ელჩმა გერმანიაში ლადო ჭანტურიამ მიიღო. თსუ დელეგაციის წარმომადგენლებს შპაიერისა და კიოლნის უნივერსიტეტების რექტორებმა და პარტნიორმა პროფესორებმა უმასპინძლეს. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს როგორც არსებული ერთობლივი სამაგიტრო პროგრამების განვითარების, ასევე თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების საკითხები.

***წიგნის „ჟურნალისტიკა“ მე-2 გამოცემის პრეზენტაცია***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნის «ჟურნალისტიკა» მე-2 გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. „ჟურნალისტიკა“-ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროექტია. წიგნის შექმნისა და გამოცემის იდეა თანამედროვე გლობალურ სივრცეში მედიის როლით, თანამედროვე სასწავლო მასალის ქართულ ენაზე არსებობის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. წიგნი შექმნილია ცხრა უნივერსიტეტის 13 პროფესორის, მათ შორის ფრანგი კოლეგის ავტორობით.

წიგნში საუბარია ჟურნალისტიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა მედია და საზოგადოება; სიტყვის თავისუფლების ასპექტები; ჟურნალისტიკა, როგორც სისტემა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედია; მედიასაშუალებები და გლობალიზაცია; მედიასაშუალებების ეკონომიკური მოდელები; ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია და სხვა.

***„ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნის ტრადიციები და სტუდენტების შთაბეჭდილებები“***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდულ ცენტრში ღონისძიება ‘‘ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნის ტრადიციები და სტუდენტების შთაბეჭდილებები’’ გაიმართა. ღონისძიების პირველი ნაწილი სომხურენოვანი სტუდენტების პრეზენტაციას დაეთმო, რომლებიც 21 მარტს, მარნეულში ნოვრუზ ბაირამის ტრადიციულ აღნიშვნას შეუერთდნენ.

ღონისძიების მეორე ნაწილში აზერბაიჯანულენოვანმა სტუდენტებმა თავიანთი ეროვნული დღესასწაულის ტრადიციების შესახებ ისაუბრეს. ინტერკულტურულ ღონისძიებაზე ასევე ნაჩვენები იყო შემაჯამებელი ვიდეორგოლი მარნეულში გამართული ზეიმის შესახებ.

***წიგნის „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზედ“ პრეზენტაცია***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პეტრე კონჭოშვილის წიგნის – „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზედ“ პრეზენტაცია გაიმართა.

ნაშრომში წარმოადგენილია ცნობილი საეკლესიო მოღვაწის პეტრე კონჭოშვილის (1836-1909) „მოგზაურობა’’. წიგნში შესავალი წერილები და კომენტარები დაურთო ვაჟა კიკნაძემ.

***„Wings for Life“-ს დამფუძნებელი თსუ-ში***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მსოფლიო რბენის „Wings for Life“-ის ფონდის დამფუძნებელი ჰაინც კინიგადნერი შეხვდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, მსოფლიო მარათონის კეთილი ნების ელჩები საქართველოში, სტუდენტები.

შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლებმა და კეთილი ნების ელჩებმა ისაუბრეს მსოფლიო მარათონის ისტორიასა და მნიშვნელობაზე, თითოეული მონაწილის წვლილზე საქველმოქმედო ღონისძიებაში.

***შეხვედრა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტთან***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მიხეილ ჩხენკელი სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტს, დეივიდ გორდონს შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ოფისის ხელმძღვანელი სიობან ფითსპათრიკი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ქალბატონი თამარ სანიკიძე და ცენტრის წარმომადგენლები, თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნინო ჩიხლაძე და თსუ პროფესორები ნინო ოკრიბელაშვილი, თამარ კეზელი და პაატა იმნაძე.

შეხვედრაზე განიხილეს მედიცინის ფაკულტეტის პროგრამები, ისაუბრეს თსუ-ს ინტერნაციონალიზაციისა და სამედიცინო განათლების განვითარების პერსპექტივებსა და ახალ გამოწვევებზე.

***აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები თსუ-ში***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. თსუ ბიბლიოთეკასა და მუზეუმში მოეწყო გიორგი ახვლედიანის ნაშრომების, ფოტო და საარქივო მასალების გამოფენა.

ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი დამფუძნებლის გიორგი ახვლედიანის იუბილესთან დაკავშირებით ასევე გაიმართა კონფერენცია. კონფერენციაზე ქართველმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებები, ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „გიორგი ახვლედიანი“.

# სტუდენტური ფოტოკონკურსი „UNIკადრი“ 2017

***მესამე გვერდიდან***

20 აპრილს დასრულდა სტუდენტურ ფოტოკონკურის „UNIკადრი“ მასალების მიღება. საკონკურსო ფოტოებისადმი წარდგენილი მოთხოვნები შემდეგი გახლდათ – საკონკურსო ფოტო უნდა ყოფილიყო სამი მიმართულებიდან ერთ-ერთ თემაზე:

• უნივერსიტეტის გარე ფასადი და შენობის დეტალები;

• უნივერსიტეტის შიდა ინფრასტრუქტურა: მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, წიგნის მაღაზია, პლანეტარიუმი, კაფე და სხვა;

• სასწავლო პროცესის ამსახველი კადრები;

კონკურსის აუცილებელი მოთხოვნებს შორის ასევე იყო ის, რომ:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს (სამივე საგანმანათლებლო საფეხური); დაცული უნდა ყოფილიყო კონკურსის თემატიკა და კონკურსით გათვალისწინებული მიმართულებები; მიიღებოდა კონკურსანტის მხოლოდ ერთი ფოტო; ფოტო უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მაღალი რეზოლუციით; კონკურსზე არ დაიშვებოდა ფოტო, რომელსაც ექნებოდაა დატანილი რაიმე ნიშანი.

კონკურსის მთავარი პრიზები წელს შემდეგია:

• ტაბლეტი;

• ანაზღაურებადი სტაჟირება საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში;

• თსუ-ს წიგნის მაღაზიათა ქსელის სასაჩუქრე კომპლექტი.

ჟიური შეარჩევს კონკურსის საუკეთესო 20 ფოტოს, რომელიც გამოიფინება უნივერსიტეტის სივრცეში. კონკურსის ჟიურის წევრები არიან: გურამ წიბახაშვილი, მინდია მიდელაშვილი, ნინო ქუთათელაძე.

მონაწილეობის მსურველებს ფოტოების წარმოდგენა 1 აპრილი – 20 აპრილის ჩათვლით შეეძლოთ.

კონკურსის შედეგები აპრილის ბოლოს გახდება ცნობილი.







*„UNI კადრის“ გასული წლების კონკურსის ფოტოარქივიდან*

# თოზუ გულმამედოვა: „ღირს ყველა სირთულის დაძლევა განათლების მისაღებად“

***მესამე გვერდიდან***



თოზუ და მისი აზერბაიჯანელი და სომეხი მეგობრები აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მათი ინიციატივით, თსუ-ში 9 აპრილს გაიმართა ღონისძიება „9 აპრილი ჩვენი ტკივილია“. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო იმის დემონსტრირება, რომ 9 აპრილს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის დაღვრილი სისხლი ერთიანად ძვირფასია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

თოზუ გულმამედოვა ამ ღონისძიებისა და თსუ-ში სწავლის გამოცდილების შესახებ გვიყვება:

9 აპრილს ჩვენი ინიციატივით თსუ-ში ღონისძიება გაიმართა. გავიხსენეთ 9 აპრილს დაღუპული გმირები. რატომღაც არსებობს მოსაზრება,რომ თუ სხვა ეროვნების ხარ, ე.ი ნაკლებად გიყვარს ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობ. ეს ნამდვილად არ არის ასე. 9 აპრილს დაღუპული ადამიანები საქართველოს თითოეული მოქალაქის გმირები არიან. ამ ადამიანებმა თავი შეწირეს ჩვენს თავისუფლებას.

ღონისძიებამ კარგად ჩაიარა, იყო ძალიან დიდი დაინტერესება როგორც აზერბაიჯანელი,ისე ქართველი სტუდენტებისგან და ლექტორებისგან. ვთვლი რომ ჩვენ ყველანი მზად ვართ ერთად ავაშენოთ დემოკრატიული, ძლიერი და მშვიდობიანი საქართველო.

საქართველო ყველა აქ მცხოვრების სამშობლოა, აზერბაიჯანელ სტუდენტებს ძალიან გვიხარია, რომ ქართველები კეთილგანწყობილები არიან. ჩვენ საქართველოში დავიბადეთ, აქ არიან დამარხული ჩვენი წინაპრები და ჩვენი შვილები აქ გაიზრდებიან. საქართველოს კეთილდღეობა თითოეული ჩვენგანის ვალია, ერთად უნდა ვიყოთ, რათა მომავალმა თაობებმა იამაყონ ჩვენით.

ჩემი სოფელი, იორმუღანლო, საგარეჯოს რაიონში მდებარეობს. თსუ-ში ჩაბარების შემდეგ თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად და უკვე ოთხი წელია აქ ვცხოვრობ. დავამთავრე იორმუღანლოს საჯარო სკოლა, ბავშვობიდან ექიმობა მსურდა, მინდოდა დავხმარებოდი და გადამერჩინა ადამიანები, მაგრამ დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ყველაზე გავრცელებული სენი განათლების არქონაა და ამას არცერთი წამალი არ შველის, გარდა აზროვნების შეცვლისა.

თსუ-ში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ჩემი ინტერესი ამ პროფესიისადმი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 21-ე საუკუნეში მედიას, იქნება ეს ტელე, ბეჭდური,თუ ონლაინ, ნამდვილად შეუძლია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლა. შემთხვევითი არ არის,რომ ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ.

რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება, თუმცა მჯერა, რომ მედიას ამის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს.

თსუ საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტია, ეს არის ადგილი, სადაც გვეძლევა საშუალება მივიღოთ ხარისხიანი განათლება და გავიაროთ „1+4“ მოსამზადებელი პროგრამა.

პირველ კურსზე ქართული ენა კარგად არ ვიცოდი, არც არავის ვიცნობდი, თუმცა მოსამზადებელი პროგრამის გავლის შემდეგ ყველაფერი გამიმარტივდა, უნივერსიტეტმა კარები თბილად გამიღო და არც არასდროს მინანია თსუ-ში ჩაბარება. წარსულში იყო შემთხვევები,როდესაც ენის ბარიერის გამო ვერ აგრძელებდნენ სტუდენტები სწავლას, თუმცა დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. თსუ-ში უკვე არსებობს ძლიერი მოსამზადებელი კურსი და სტუდენტებიც პირველ კურსზე მომზადებული მოდიან.

თსუ-ში ჩაბარებისა და თბილისში გადმოსვლის დროს ჩემთვის სირთულეს ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა წარმოადგებდა, თუმცა დროთა განმავლობაში ისინიც და მეც მივხვდით, რომ ჩვენ არ ვართ ერთმანეთისთვის უცხო, გვაქვს მსგავსი ტრადიციები, ცხოვრების წესი და რაც მთავარია, ერთი სამშობლო, საქართველო, რომლის კეთილდღეობისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ. უნივერსიტეტში ლექტორები და სტუდენტები გვერდში გვიდგანან და ყველა ერთმანეთს ვეხმარებით.

უნივერსიტეტში ყოველდღიურად ვხედავდი ჩემს მოწადინებულ კურსელებს, ისინი მე ძალას და მოტივაციას მაძლევდნენ,რომ გამეგრძელებინა სწავლა ჩემს სპეციალობაზე. ენის ბარიერს თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ღირს ყველა სირთულის დაძლევა განათლების მიღებისთვის“, – ამბობს თოზუ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge